საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

საქართველოს სახალხო დამცველი

ATIPfund GEORGIA

იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე

შეჯიბრის წესები
2016

იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე

წესები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ სასამართლო პროცესი (შემდეგში, „იმიტირებული სასამართლო პროცესი“) წარმოადგენს სასწავლო ხასიათის შეჯიბრს, რომელშიც მონაწილეობას იღებს საქართველოში აკრედიტებული სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისგან შემდგარი გუნდები.
2. იმიტირებული სასამართლო პროცესის ორგანიზებასა და ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტი და სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი (შემდეგში, „ორგანიზატორი) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში.
3. იმიტირებული სასამართლო პროცესის მიზანია სტუდენტებში ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე, სასამართლო პროცესებში წარმომადგენლობის უნარ-ჩვევების განვითარება და სტუდენტების დაახლოება შემდგომი თანამშრომლობის მიზნით.
4. იმიტირებული სასამართლო პროცესი არის სრულად საგანმანათლებლო ხასიათის და მისი მიზანი არ არის მოგების ან რაიმე სხვა სახის ფულადი სარგებლის მიღება.
5. იმიტირებული სასამართლო პროცესი ტარდება ქართულ ენაზე. აღნიშნული წესი არ ზღუდავს ჯგუფებს, მოიძიონ შეჯიბრისათვის საჭირო ნებისმიერი უცხოენოვანი ლიტერატურა და გამოიყენონ საკუთარი პოზიციის გასამყარებლად.

მუხლი 2. მონაწილეობა

1. იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში აკრედიტებული სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ნებისმიერი ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისგან შემდგარ გუნდს. შესაძლებელია, ერთი უნივერსიტეტიდან რეგისტრაცია გაიაროს ერთმა ან რამდენიმე გუნდმა.

2. გუნდის წევრი მხოლოდ ის პირი შეიძლება იყოს, რომელსაც შეჯიბრის მომენტისათვის აქვს სტუდენტის სტატუსი და იმყოფება ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საფეხურზე.
3. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის დარღვევის შემთხვევაში, ჯგუფი ექვემდებარება ავტომატურ დისკვალიფიკაციას და მის მიერ მიღებული ყველა შეფასება უქმდება.

მუხლი 3. გუნდის მწვრთნელი

1. თითოეული გუნდი უფლებამოსილია, ჰყავდეს მწვრთნელი, რომლის ვინაობაც და საკონტაქტო ინფორმაციაც მითითებული უნდა იყოს სარეგისტრაციო განაცხადში.
2. მწვრთნელი უფლებამოსილია, გუნდს დახმარება გაუწიოს შემდეგ საკითხებში: სამართლებრივი კვლევისა და წერილობითი დოკუმენტის მომზადების ტექნიკა; სამართლის ზოგადი პრინციპები, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და მასთან დაკავშირებული სფეროები; ზეპირი გამოსვლისათვის მომზადება და სტრატეგიის შემუშავება.
3. ჯგუფის მწვრთნელი არ არის უფლებამოსილი, თვითონ დაწეროს წერითი პოზიცია ან/და ჯგუფს გაუწიოს იმგვარი დახმარება, რომელიც წინააღმდეგობაში იქნება სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების ზოგად პრინციპებთან.
4. წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის დარღვევის შემთხვევაში, ჯგუფი ექვემდებარება ავტომატურ დისკვალიფიკაციას და მის მიერ მიღებული ყველა შეფასება უქმდება.

მუხლი 4. გუნდების ტუტორი

ზეპირ რაუნდში გადასულ გუნდებს შესაძლებელია ჰყავდეთ ორგანიზატორის მიერ შერჩეული ტუტორები, რომლებიც დაეხმარებიან გუნდებს ზეპირი გამოსვლისათვის მომზადებაში.

მუხლი 5. გუნდის შემადგენლობა

1. თითოეული გუნდი შედგება არანაკლებ 3 და არაუმეტეს 5 სტუდენტისაგან.
2. იმიტირებულ სასამართლო პროცესებში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის გავლის შემდეგ, არ შეიძლება განხორციელდეს გუნდების შემადგენლობის ცვლილება. გამონაკლისი შემთხვევა დაიშვება საპატიო მიზეზის არსებობისას და ამის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს იმიტირებული სასამართლო პროცესების ორგანიზატორი.
3. გუნდის წევრები თავად ანაწილებენ როლებს გუნდის წევრებს შორის.

მუხლი 6. გუნდის რეგისტრაცია

იმიტირებულ სასამართლო პროცესებში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია რეგისტრაცია, რომლის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს ორგანიზატორი.

1. თითოეული გუნდის რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად, სარეგისტრაციო დოკუმენტის წარმოდგენით, რეგისტრაციისათვის განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე
2. დაუშვებელია გუნდის რეგისტრაცია რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ.
3. იმიტირებულ სასამართლო პროცესში რეგისტრაცია და მონაწილეობის მიღება არის უფასო. შეჯიბრის სარეგისტრაციო მოთხოვნებსა და წესებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში გუნდების საკონტაქტო პირებს ეცნობებათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

მუხლი 7. გუნდის იდენტიფიცირება

1. რეგისტრაციის შემდეგ თითოეულ გუნდს ენიჭება ინდივიდუალური ნომერი. ნომრის მინიჭება ემსახურება კონფიდენციალობის დაცვას.
2. ორგანიზატორები თითოეულ გუნდს ინდივიდუალურად შეატყობინებენ რეგისტრაციის ნომერს.

მუხლი 8. იმიტირებული სასამართლო პროცესის სტრუქტურა

1. იმიტირებული სასამართლო პროცესი შედგება ორი ეტაპისაგან — წერითი და ზეპირი რაუნდები.
2. თითოეული რეგისტრირებული გუნდი წარმოადგენს როგორც დაცვის, ისე ბრალდების პოზიციებს წერით და ზეპირ რაუნდებში.
3. წერით რაუნდში გამოვლენილი საუკეთესო 8 გუნდი მონაწილეობას მიიღებს ზეპირ რაუნდში.

მუხლი 9. წერითი რაუნდი

1. რეგისტრაციის შემდეგ გუნდებს მიეწოდებათ საქმე, რომელზეც თითოეულმა მათგანმა, საქმეში მითითებულ ვადაში, საორგანიზაციო ჯგუფს უნდა წარუდგინოს დაცვისა და ბრალდების წერითი პოზიციები.

2. იმიტირებული სასამართლო პროცესის საქმე არის შედგენილი ორგანიზატორის მიერ. კაზუსი არის სრულად ჰიპოთეტური ხასიათის და მასში მოყვანილი გარემოებები არ ასახავს რეალობას.
3. იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილე ჯგუფებს საქმე გადაეგზავნებათ რეგისტრაციის გავლის შემდეგ. კაზუსის გადაგზავნა განხორციელდება იმ ელექტრონულ ფოსტაზე, რომელიც ჯგუფებს მითითებული ექნებათ სარეგისტრაციო განაცხადში.
4. საქმის ოფიციალურად გადაგზავნიდან არაუმეტეს შვიდი დღის განმავლობაში გუნდებს ეძლევათ საშუალება, მეილის მეშვეობით ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებული დამაზუსტებელი შეკითხვებით მიმართონ ორგანიზატორებს. დამაზუსტებელი კითხვები გამოგზავნილი უნდა იქნას ერთიან დოკუმენტში. დამაზუსტებელი კითხვები არ უნდა ეხებოდეს ფაქტების სამართლებრივ შეფასებას.
5. დამაზუსტებელ შეკითხვებზე პასუხი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაეგზავნებათ გუნდების საკონტაქტო პირებს. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს შეჯიბრის კაზუსის ნაწილს და ჯგუფები უფლებამოსილნი არიან დაეყრდნონ მათ როგორც წერილობითი დოკუმენტის შედგენისას, ისე ზეპირი გამოსვლისას.
6. წერითი პოზიციები შეფასდება ჯგუფის მიერ წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით.
7. წერით კომპონენტში საუკეთესო შედეგის მქონე 8 გუნდი მონაწილეობას მიიღებს ზეპირ რაუნდში.

მუხლი 10. წერითი პოზიციების მომზადება

1. თითოეული გუნდი ამზადებს როგორც დაცვის, ისე ბრალდების წერით პოზიციებს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:
   1.1. წერით პოზიციებში მითითებული უნდა იყოს გუნდის ნომერი;
   1.2. წერითი პოზიციები წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონულად, „PDF“ ფორმატში;
   1.3. წერით პოზიციებში გამოყენებული უნდა იყოს Sylfaen, შრიფტის ზომა 12, ხოლო სქოლიოში – Sylfaen, შრიფტის ზომა 10;
   1.4. წერით პოზიციებში ზედა და ქვედა არეები უნდა იყოს 2 სმ;
   1.5. წერით პოზიციებში სტრიქონებს შორის დაშორება უნდა იყოს 1.5, ხოლო სქოლიოში – 1 ინტერვალი;
   1.6. დოკუმენტის სარჩევი და ბიბლიოგრაფია უნდა დაინომროს რომაული, ხოლო ფაქტები და მხარეთა არგუმენტები - არაბული ციფრებით;
   1.7. წერით პოზიციებში თითოეული გვერდი უნდა დაინომროს;

1.8. წერით პოზიციებში არგუმენტაციის ნაწილის სიტყვების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5000 სიტყვას (სქოლიოს გარეშე);

2. წერით პოზიციებში მითითებული უნდა იყოს:
   2.1. თავფურცელი, სადაც აღინიშნება ტურნირის სახელი, გუნდის ნომერი, პოზიცია, სიტყვების რაოდენობა და თარიღი;
   2.2. სარჩევი;
   2.3. აბრევიატურების სია;
   2.4. გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი;
   2.5. იურისდიქციის დასაბუთება;
   2.6. სასამართლოს წინაშე წამოყენებული საკითხები და მოთხოვნის დაყენება;
   2.7. ფაქტების მოკლე აღწერა;
   2.8. პრობლემური საკითხები;
   2.9. არგუმენტაცია;
3. დანართები (მტკიცებულებები).
4. თითოეული გუნდი ვალდებულია, წერითი პოზიციების წარდგენა განახორციელოს ორგანიზატორის მიერ დაწესებული ვადების დაცვით.
5. წერილობითი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ გუნდებს უფლება არ აქვთ, რაიმე სახით შეცვალონ და განმეორებით წარადგინონ დოკუმენტი, მიუხედავად იმისა, დადგენილ ვადაზე ადრე წარადგენენ თუ არა.
6. წერილობითი დოკუმენტის გადაგზავნა უნდა განხორციელდეს ორგანიზატორის მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, დაწესებული ვადის ბოლო დღის არაუგვიანეს 23:59 სთ-ზე.

მუხლი 11. წერითი პოზიციის შეფასება

1. წერითი პოზიცია ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით:
   1.1. საქმის ფაქტების ცოდნა – 10 ქულა;
   1.2. ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გამოყენება – 20 ქულა;
   1.3. პრობლემური საკითხების ანალიზი –20 ქულა;
   1.4. პრაქტიკის და ციტატების გამოყენება – 15 ქულა;
   1.5. მტკიცებულებების მოპოვება – 15 ქულა;
   1.6. ლოგიკური მსჯელობა – 15 ქულა;
   1.7. გრამატიკული და სტილისტური კომპონენტი – 5 ქულა.

2. დადგენილი ვადის დარღვევით გამოგზავნილი წერითი პოზიციები დაჯარიმდება „-20“ ქულით.

მუხლი 12. ზეპირი რაუნდი

1. ზეპირ რაუნდში მონაწილეობას მიიღებს წერითი რაუნდის საფუძველზე გამოვლენილი 8 საუკეთესო გუნდი.
2. ზეპირ რაუნდში თითოეული გუნდი წარმოადგენს როგორც დაცვის, ისე ბრალდების პოზიციებს.
3. ორივე პოზიციის წარმოდგენის საფუძველზე ნახევარ-ფინალურ ეტაპზე გადის 4 საუკეთესო გუნდი.
4. ფინალში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული გუნდი.

მუხლი 12. მოსამართლეები

1. ზეპირი ეტაპის თითოეულ თამაშს განსჯის მოსამართლეებისაგან შემდგარი კოლეგია, რომელთა შერჩევასაც მთლიანად ახორციელებს ორგანიზატორი.
2. მოსამართლე არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც გუნდს დახმარებას უწევს წესების მე-3 მუხლის თანახმად, ან/და აქვს ჯგუფის ერთ ან რამდენიმე წევრთან განსაკუთრებული ურთიერთობა (ნათესაური, პედაგოგიური და ა.შ), რომელიც ეჭვის ქვეშ დააყენებს მოსამართლის მიუკერძოებლობას.
3. თითოეულ გუნდს აქვს უფლება, დააყენოს მოსამართლის აცილების საკითხი, რაზეც გადაწყვეტილებას ადგილზე მიიღებს შეჯიბრის ორგანიზატორი.

მუხლი 14. ზეპირი რაუნდი

1. ზეპირ რაუნდში, პირველ რიგში, ბრალდების მხარეს ეძლევა ბრალდების შესავალი სიტყვა. ამის შემდეგ დაცვის მხარეს (ადვოკატსა და ბრალდებულს) ეძლევათ უფლება, წარადგინონ დაცვის შესავალი სიტყვა.
2. თითოეულ გუნდს ეძლევა 45 წუთი პოზიციის წარმოდგენის, შესავალი სიტყვის, მოწმის დაკითხვის, დასკვნითი სიტყვისა და რეპლიკებისათვის.
3. თითოეული გუნდის მიერ მოწმის პირდაპირი ან/და ჯვარედინი დაკითხვის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს.
4. დასკვნითი სიტყვის წარდგენის შემდეგ მხარეებს უფლება აქვთ, კიდევ ერთხელ, რეპლიკის სახით, მოკლედ გამოთქვან საწინააღმდეგო აზრი ან/და შენიშვნა. საბოლოო რეპლიკის უფლება ნებისმიერ შემთხვევაში აქვს დაცვის მხარეს. რეპლიკისათვის განსაზღვრული დრო არ უნდა აღემატებოდეს 5 წუთს.

5. მხარეთა მიერ დასკვნითი სიტყვების წარდგენისა და რეპლიკით გამოსვლის შემდეგ ბრალდებულს უფლება აქვს, გამოვიდეს საბოლოო სიტყვით.
6. მოსამართლეებს უფლება აქვთ, ნებისმიერ დროს დაუსვან შეკითხვა მხარეებს. გუნდი ვალდებულია, პოზიცია წარადგინოს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ დროში მიუხედავად მოსამართლეების მხრიდან დასმული შეკითხვების სიხშირისა. მოსამართლეს უფლება აქვს, მხარეს, თხოვნის საფუძველზე, დაუმატოს დრო არაუმეტეს 2 წუთის ოდენობით.
7. ზეპირი რაუნდის მონაწილე გუნდს შეუძლია გამოხატოს პროტესტი შემდეგი საფუძვლით:
   7.1. მოწინააღმდეგე გუნდის მიერ ისეთი ფაქტის აღნიშვნა, რომელიც არ დაფიქსირებულა,
   7.2. მოწინააღმდეგე გუნდის წერილობით პოზიციასა და სასამართლოზე ნათქვამს შორის აშკარა განსხვავების არსებობისას;
   7.3. სხვა გონივრული საფუძვლის არსებობისას;
   7.4. პროტესტის გამოხატვა შესაძლებელია მოწინააღმდეგე გუნდის მიერ სიტყვის დასრულების შემდეგ, მოსამართლისათვის სიტყვის მოთხოვნით მიმართვის საშუალებით.
8. ზეპირი გამოსვლის მიმდინარეობისას აკრძალული არის ვერბალური სახის რაიმე ტიპის კომუნიკაცია გუნდის წევრებს შორის. გუნდის წევრებს, მათ შორის მათ ვინც უშუალოდ არ მონაწილეობს ზეპირ ეტაპზე, უფლება აქვთ წერილობითი სახით მიაწოდონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია ჯგუფის დანარჩენ წევრებს.
9. ჯგუფის წევრებს უფლება აქვთ გამოიყენონ ელექტრონული ხელსაწყოები, მათ შორის, კომპიუტერი იმ ფარგლებში, რომ ის ხელს არ შეუშლის სასამართლო პროცესის მიმდინარეობას.
10. მხარეები ვალდებულნი არიან, დაემორჩილონ და პატივი სცენ სასამართლოს, ერთმანეთს
    მიმართონ თავაზიანად და თავი შეიკავონ უცენზურო რეპლიკებისა და გამონათქვამებისგან.
11. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფის წევრი ხელს უშლის პროცესის მიმდინარეობას, მოსამართლეთა გადაწყვეტილებით შესაძლებელია მას მოეთხოვოს პროცესის დატოვება.

მუხლი 15. ზეპირი რაუნდის შეფასება

1. ზეპირი რაუნდის დროს გუნდი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:
   1.1. საქმის ფაქტების ცოდნა –10 ქულა;
   1.2. ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და პრაქტიკის გამოყენება – 20 ქულა;

1.3. პრობლემური საკითხების ანალიზი და ლოგიკური მსჯელობა – 20 ქულა;
1.4. მტკიცებულებების წარმოდგენა/მოწმის დაკითხვა – 15 ქულა;
1.5 გუნდურობა – 15 ქულა;
1.6. პრეზენტაციული უნარ-ჩვევები – 20 ქულა.

მუხლი 16. იმიტირებული სასამართლო პროცესის ნომინაციები

იმიტირებული სასამართლო პროცესის ნომინაციებია:

- იმიტირებული სასამართლო პროცესის გამარჯვებული;
- იმიტირებული სასამართლო პროცესის ფინალისტი;
- იმიტირებული სასამართლო პროცესის 3 საუკეთესო მომხსენებელი.

.

მუხლი 17. დასკვნითი დებულებები

1. ორგანიზატორს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს შეცვალოს წინამდებარე წესები და ამის შესახებ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აცნობოს იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილე საკონტაქტო პირებს. საკონტაქტო პირებთან კომუნიკაცია გულისხმობს შეჯიბრში მონაწილე ჯგუფთან კომუნიკაციას.
2. წინამდებარე წესებში ნებისმიერი უზუსტობის ან/და ბუნდოვანების შემთხვევაში, მისი განმარტება უნდა მოხდეს იმიტირებული სასამართლო პროცესის მიზნებიდან გამომდინარე.
3. აღნიშნული წესები ძალაში შედის მონაწილე ჯგუფებისათვის გამოქვეყნების მომენტიდან და ძალაშია იმიტირებული სასამართლო პროცესის დასრულებამდე.